პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 აგვისტო შაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 204 (16025)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXIV კონგრესის მითითებებით მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერების შესახებ, ეწევიან დიდ მუშაობას იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის, მტკიცედ იღვწიან იმისათვის, რომ იდეოლოგიური ფრონტის უველა უბანზე იყვნენ პოლიტიკურად მომწიფებულ ინიციატივიანი, საჭირო თეორიული მომზადების მქონე მუშაკები.

ბელორუსიის პარტიული ორგანიზაცია უნარიანად წარმართავს იდეოლოგიური კადრების მეცადინეობას მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის პოლიტიკური აქტივობისა და შრომითი ინიციატივის განვითარებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. წარმოებს სისტემატური მუშაობა პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ახსნა-განმარტებისათვის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის იდეების, კომუნიზმის მშენებლთა მორალური კოდექსის პროპაგანდისათვის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელოვან საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე, დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ადამიანების გმირობის მაგალითებზე მშრომელთა აღზრდისათვის. რესპუბლიკის მშრომელებს ზრდიან ბურუჟაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. მთელ ამ საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

მხატვრული ინტელიგენციისადმი პარტიულ ორგანიზაციათა მზრუნველმა დამოკიდებულებამ და მუდმივმა უურადღებამ ხელი შეუწყო შემოქმედებითი კავშირების დარაზმვას, ადამიანის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში მათი როლის ამაღლებას. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა ნიჭიერი ნაწარმოებები, რომლებიც გვიჩვენებენ საბჭოთა ადამიანების მაღალ ზნეობრივ თვისებებს, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ისტორიულ გმირობას ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იქმნება იდეოლოგიურ კადრებთან მუშაობის მოფიქრებული სისტემა: სისტემატურად წარმოებს მათი მარქსისტულ-ლენინური სწავლება, ჩამოყალიბებულია თეორიული სემინარები, სადაც სწავლობენ პარტიის თეორიისა და პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებს, იდეოლოგიური მუშაობის თეორიულ საფუძვლებსა და მეთოდებს; ბევრი პროპაგანდისტი, ლექტორი, ეკონომისტი სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში.

იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას ხელს უწყობს იგრეთვე პროპაგანდისტული კადრების სისტემატური ინფორმირება. პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების, პარტიული კომიტეტების, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის აქტუალურ საკითხებზე. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. საოლქო კომიტეტები რეგულარულად აწყობენ პრეს-კონფერენციებს ჟურნალისტებისათვის, რედაქტორის დღეებს, უშვებენ საინფორმაციო ბიულეტენებს ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე. იდეოლოგიური კადრების დახახმარებლად გამოდის სპეციალური ბიულეტენი, რომელიც შეიცავს მასალას კაპიტალისტური სისტემისა და ბურუჟაზიული ცხოვრების წესის კრიტიკის შესახებ.

პარტიული კომიტეტები ახლა უფრო მიტ ყურადღებას უთმობენ სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა იდეურ და პროფესიულ ზრდას, საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი აქტივობის განვითარებას.

იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის შედეგიანობის ამაღლების მიზნით წარმოებს მეცნიერული კვლევა სოციალური პროცესებისა და საზოგადოებრივი აზრის, მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების გზების ძიების სფეროში. მსგავლი საწარმოების პარტიულ კომიტეტებთან, პარტიის რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტებთან, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილია სპეციალური ჯგუფები, რომლებიც განაზოგადებენ ქვემოდან მომავალ ინფორმაციას და თავიანთ დასკვნებსა და რეკომენდაციებს უგზავნიან პირველად პარტიულ ორგანიზაციებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადებითად შეაფასა მუშაობა ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის და ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონე, კომუნიზმის შენებლობის, კომუნისტური აღზრდის ამოცანათა მასშტაბურობა, საერთაშორისო ასპარეზზე იდეოლოგიური ბრძოლის სიმწვავე უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ იდეოლოგიურ მუშაობას, და მაშასადამე, კადრებსაც. მით უფრო არ შეიძლება შევუიოგდეთ ნაკლოვანებებს ამ საქმეში.

მთავარი ის არის, რომ უზრუნველყოთ იდეოლოგიური მუშაობის იდეური დონისა და ეფექტიანობის განუხრელი ამაღლება, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მისი კავშირის განმტკიცება. ამ მოთხოვნათა შესაბამისად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გააკრიტიკა რესპუბლიკის ზოგიერთი პარტიული კომიტეტი მუშაობის იდეოლოგიური უბნებისადმი, იდეოლოგიური კადრების შერჩევისადმი ყურადღების შესუსტების გამო.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ბევრი პარტიული კომიტეტი საკმარის ყურადღებას არ უთმობს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას. კადრების მომზადებისა და ინსტრუქტირების პრაქტიკაში ყოველთვის უნარიანად როდი აკავშირებენ იდეურ-პოლიტიკური საქმიანობის ყოველდღიურ ამოცანებს მშრომელებისათვის მაღალი ზნეობრივი ნორმების, კომუნისტური რწმენის ჩანერგვის პერსპექტიულ საკითხებთან.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციები საკმარის ყურადღებას არ უთმობენ სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და უმაღლესი სასწავლებლების აღმზრდელობითს საქმიანობას.

ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, რომ ყველა შრომითი კოლექტივი გახდეს ახალი ადამიანის აღზრდის, შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, ადამიანთა მაღალი ზნეობრივი ურთიერთობის დამკვიდრების ნამდვილი ცენტრი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს დაავალა შეძენილი გამოცდილების საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ იდეოლოგიურ მუშაკთა შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების, მათთან მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი, ამასთან იხელმძღვანელონ იმით, რომ იდეოლოგიური მუშაობა არის კომუნიზმის მშენებლობის, საერთაშორისო იმპერიალიზმისა და რეაქციის, ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის წინა უბანი.

ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როცა დაჩქარდა სოციალური განვითარების პროცესი, გაიზარდა ეკონომიური მშენებლობის მასშტაბები, ბორციელდება მეურნეობის გაძლიერის ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლა, სწრაფად მაღლდება საბჭოთა ადამიანების განათლება და კულტურა, როცა საერთაშორისო ასპარეზზე მკვიდრდება მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები და ამავე დროს ფართოვდება და რთულდება იდეოლოგიური ბრძოლა, იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელობა და მისდამი მთელი პარტიის ყურადღება განუზომლად იზრდება. ამ პირობებში იდეოლოგიურ კადრებს უფრო მაღალ მოთხოვნებს ვუყენებთ. ისინი კარგად უნდა ეოკვეოდნენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრობლემებში, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში, უკავშირდ ნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, კომუნისტური იდეალების პროპაგანდას პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას, აქტიურად უჭერდნენ მხარს ყოველივე ახალსა და მოწინავეს, უნარიანად წარმართავდნენ ბრძოლას წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ. იდეოლოგიურ კადრებს მოეთხოვებათ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან აფასებდნენ საზოგადოებრივ მოვლენებს, პრაქტიკულად იცავდნენ საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, თანმიმდევრულად და დახაბუთებულად ამხილებდნენ ბურჟუაზიულ და რევიზიონისტულ იდეოლოგიას. ისინი დაუცხრომლად უხდა ეუფლებოდნენ მასების პოლიტიკური განათლებისა და დარწმუნების ლენინურ ხელოვნებას, დამაჯერებლად და გასაგებად წარმართავდნენ საკაგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. ამასთან ოპერატიულ რეაგირებას ახდენენ ქვეყანაში და საზღვარგარეთ მიმდინარე მოვლენებზე, საბჭოთა ადამიანების იდეურ მოთხოვნებზე.

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს წინადადება მიეცათ იდეოლოგიური კადრების მეცადინეობა მოახმარონ იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას, ამასთან გათვალისწინონ, რომ რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასებს კვლავ უნერგავდნენ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, კომუნისტურ მორალს, აამაღლონ მშრომელთა განათლებისა და კულტურის დონე, პროფესიული ოსტატობა და გერგილიანობა. აღმზრდელობითი მუშაობის ყველა საშუალებით ჩაბან მშრომელნი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შეგნებულ საქმიანობისა და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, ჩამოუყალიბონ ყოველ ადამიანს კეთილშობილური მიზნები და სულიერი მოთხოვნილებანი, მაღალი ზნეობა, ხელი შეუწყონ თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებას. ორგანულად შეუხამონ ერთმანეთს აღმზრდელობითი მუშაობა წარმოებაში, კულტურისა და დახვენების ცენტრებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მარკვედ გამოიყენონ იდეური გავლენის კოლექტიური და ინდივიდუალური მეთოდები. უფრო ეფართოდ ახარგებლონ მახობრივი ინფორმაციის საშუალებების, განსაკუთრებით ტელევიზიის შესაძლებლობებით, რათა პროპაგანდა გაუწიონ საბჭოთა ცხოვრების წესს, თვალსაჩინოდ ახახონ შრომის, მშრომელთა საზოგადოებრივი საქმიანობის, დახვენებისა და ეროვაცხოვრების ორგანიზაციის საუკეთესო ნიმუშები. გათვალისწინონ შრომითი საქმიანობის პირობები, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებათა სპეციფიკური თავისებურებანი.

საჭიროა უკეთ შეასწავლონ კადრებს იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვის, იდეოლოგიურ ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციის პრაქტიკა. ღრმად განაზოგადონ და ეფექტიანად გავრცელონ იდეოლოგიური მუშაობის საუკეთესო გამოცდილება. განავითარონ საზოგადოებრივი აზრის შესწავლასთან, იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობასთან დაკავშირებული მეცნიერული კვლევა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ის პრაქტიკა, რომ ბელორუსიის პარტიული კომიტეტებისა და სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელი კადრები უშუალოდ მონაწილეობენ პროპაგანდისტთა, ლექტორთა, მომხსენებელთა, პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა სემინარების მუშაობაში, პარტიული და საბჭოთა მუშაკების აქტივის, მშრომელთა ფართო მასების ინფორმირებაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე.

დადგენილებაში პარტიული კომიტეტების უურადღება მიეპყრო იმას, რომ უნდა აამაღლონ იდეოლოგიური განყოფილებების როლი პროპაგანდისტული, საგაკვიაციო-მასობრივი მუშაობის, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საქმიანობის ხელმძღვანელობაში, სახალხო განათლების ორგანოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების

(დასასრული მე-2 გვ.).

შეჯიბრების მოწინავენი



ზუგდიდელ მეჩაიეთა წარმატებებში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ნარჩაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, რომელმაც დიდი გადატვირთვით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და ასლა ჩაის ფოთოლს ვალდებულების გადამეტებით კრეფს.

დაფნაურებულ მეჩაიეთა შორის არის კომკავშირელი მარინე დავლაძე. წელს მან ვალდებულება იკისრა, რომ მოკრეფდა 4 ტონა ჩაის ფოთოლს, პირობა გადატვირთვით გაანაღდა, მოკრიფა ხუთ ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და კვლავ განაგრძობს „მწვანე ოქროს“ კრეფას.

ხურათზე: მარინე დავლაძე.

ი. უუფუნიას ფოტო.

ზუგდიდელ მეჩაიეთა წარმატებები

ვალდებულების გადამეტებით იქნება 2.400 ტონა ჩაის ფოთოლი

ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა 29 აგვისტოსთვის შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. მოკრიფეს და გადასამუშავებლად ჩაის ფაბრიკებს ჩააბარეს 37.700 ტონა ჩაის ფოთოლი. ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 37.600 ტონისა. ამ გადარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ასალსოფლის, რუხის, ახალკახათის, კახათის, შამგონის, ჭითაწყაროს, ჯიხშაკრის, ინგირის, კორცხელის, ოქტომბრის, ნარაზენის, ორჯონიკიძის, ჩხორინისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, ინგირის, ხეციერის, ნარაზენის საბჭოთა მეურნეობებმა.

სასიხარულოა, რომ ინგირის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ჩაის კრეფის ხუთწლიანი ჯგუფა ოთხ წელიწადში, ოვლისის მეორე ნახევარში შეასრულეს. ინგირელებმა მომავალი ხუთწლედის ანგარიშში უკვე ჩააბარეს 300 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. აქ მოკრეფილი ნედლეულის 75 პროცენტზე მეტი მექანიზებული წესით არის აღებული.

ეს რედაქციას აცნობეს პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. თოდუამ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. კუტალიამ.

ეს წარმატებანი განაპირობა რაიონის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებამ, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებამ. ახლა რაიონის მშრომელები ენერგიულად ირძვიან იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ ყველა ნაკისრი ვალდებულება, ხოლო მეჩაიეები პირობას დებენ ვალდებულების გადამეტებით. სამშობლოს მისცენ 2.400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სწავლა, შრომა, სიბეჯითე...

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ეროვნებრივ, ... კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მიმართვა — ... რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებისადმი

ძვირფასო მეგობრებო!

დღეგა სწავლის პირველი დღე. ეს დიდი მოვლენაა როგორც იმათ ცხოვრებაში, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამს ცოდნის გზაზე, ისე იმ ახალგაზრდებისათვის — ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის, რომლებიც დახვნების შემდეგ კვლავ აავსებენ აუდიტორიებს და შეუსხდებიან მერხებს.

აი რატომაა, რომ ახალი სასწავლო წლის დამდეგს ჩვენ, რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი მოგმართავთ და გზას გიღოცავთ თქვენ — ჩვენს შესანაშენავ ცვლას. ჩვენი მომართვის მიზანია შეგახსენოთ თქვენ, მომავალ სპეციალისტებს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლებს ის დიდი ამოცანები, ახალგაზრდობას რომ დაუსახეს მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ.

კარგად არის ცნობილი, რომ მეცირედი ქმნის დიდს, დღევანდელი დღე სჭედს ხვალინდელს. გახსოვდეთ, უმაღლეს სასწავლებელსა თუ ტექნიკუმში ცოდნას ხაძირკველი ეყრება. და იმაზე, თუ რა ღრმად, რა გაგებითა და გულმოდგინებით დაეუფლებით ცოდნას სწავლის მთელი პერიოდის მანძილზე, დამოკიდებულია ღენება მისი სიმტკიცე, და მაშასადამე — ჩვენი ხალხის წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ მშვიდობის განმტკიცებისათვის, ამისათვის, რომ საბჭოთა ადამიანებს შეეძლოთ მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა, რომ ჩვენს ახალგაზრდობას შეეძლოს ისწავლოს, ყოველმხრივ განვითაროს ნიჭი და უნარი. ამის საფინდარია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის წარმატებით შესრულების შედეგად მიღწეული დიდი ძვრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდესი წვლილი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში, საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითი შემოქმედებითი შრომა, რომელიც წარმატებით ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზულ გეგმებს, ამის საფინდარია მომძლე სოციალისტური ქვეყნების ძლიერების შემდგომი განმტკიცება.

თვითეულ თქვენგანს ღრმად უნდა ესმოდეს ის დიდი ძვრები, უკანასკნელ წლებში რომ ხდება ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, რომლის კომუნისტები, ყველა მშრომელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებით დასახულ ამოცანებს. თქვენი ამოცანაა აქტიურად ატარებდეთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, უშუალოდ ახორციელებდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ყოველი საბჭოთა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა. შრომაა ყველა სიკეთის წყარო. ყოველივე ძვირფასი, რაც ღღემდე შეუქმნია კაცობრიობას, დიდი ტიტანური შრომის შედეგია. შრომით მხოლოდ მატერიალური და სულიერი ღირებულებანი როდი იქმნება. შრომის პროცესში ყალიბდება კომუნისტური საზოგადოების მშენებლის, ნამდვილი მოქალაქისა და შემოქმედის პიროვნება. მხოლოდ დაუცხრომელი შრომით მიაღწევთ თქვენ მეცნიერების მწვერვალებს, დადგებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც უნარი შესწევთ წარმატებით წყვეტდნენ კომუნისტური პარტიის მიერ სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების განვითარების დარგში დასახულ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს.

გახსოვდეთ: თქვენი მთავარი დანიშნულებაა — გახდეთ თქვენი საქმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ამისათვის კი ბევრი და სერიოზულად უნდა ისწავლოთ. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. თქვენი ამოცანაა — სპეციალობის ბეჯითად დაეუფლებასთან ერთად გულმოდგინედ იფართოვებდეთ პოლიტიკური კორიზონტს, ეუფლებოდეთ მარქსიზმ-ლენინიზმის ფასდაუდებელ საგანძურს, აქტიურად მონაწილეობდეთ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ინერგავდეთ იმ თვისებებს, რომელთა შესახებ ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი, ზრუნავდეთ ფიზიკური სრულყოფისათვის.

ძვირფასო მეგობრებო! საშშოლო ციქნით სწავლის, შემოქმედებითი შრომის ყველა პირობას. გამოიყენეთ ისინი მთლიანად, რათა მიემზადოთ იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც დაგისახავთ ჩვენი სოციალისტური სამშობლო, ჩაინერგეთ კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის მებრძოლთა მაღალი თვისებები.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თვითეული თქვენგანი ერთგულად დაიცავს სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომის ტრადიციებს საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უტეხდნენ ზამთრის სასახლეს, იარაღით ხელში იცავდნენ ოქტომბრის მონაპოვრებს სამოქალაქო ომის წლებში, იხსნეს აღტაფრიბა ფაშისტმისაგან დიდი სამამულო ომის წლებში, საძირკველს უყრიდნენ პირველ საბჭოთა ხუთწლედებს. მტკიცედ გვწამს, რომ თვითეული თქვენგანი ღირსეულად გაგრძელებს საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს, იქნება ნამდვილი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი.

ჩვენ გვინდა ეს მიმართვა თქვენდამი დავამთავროთ 1971 წლის ოქტომბერში სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრებაზე ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვებით:

„ძვირფასო მეგობრებო! სტუდენტობის პერიოდი ხანმოკლეა — სულ ხუთი-ექვსი წელი. კვალს კი მთელ ცხოვრებას ანნევს. ამ წლებში შენაძენი ის ტვირთია, რომელიც, როგორც იტყვიან, ადამიანს არ ამძიმებს. პირიქით, რაც უფრო მძიმეა ეოდნის, კულტურის, საზოგადოებრივ ჩვევათა ტვირთი, მით უფრო მტკიცედ მიაბიჯებს ადამიანი ცხოვრების გზაზე.

გაივლის სწავლის წლები, თქვენ ჩააბარებთ სახელმწიფო გამოცდებს, დაიცავთ დიპლომებს, უკან დაგრჩებათ ჩათვლები და პროექტები. მაგრამ სწავლის დამთავრება თქვენი შრომითი ბიოგრაფიის მხოლოდ დასაწყისია. და სადაც უნდა მიხვიდეთ სამუშაოდ, თან წაგყვებათ ის, რაც უმჯობ მიიღეთ სტუდენტობის წლებში, — იდეური რწმენა, ხაფუძვლიანი ცოდნა, პროფესიისადმი სიყვარული, თქვენი დიადი სამშობლოსადმი ერთგულება.

დაე თქვენს შემართებაში, საქმეებსა და იერნებებში ყოველთვის ცოცხლობდეს თქვენი სტუდენტური სიჭაბუკის სულისკვეთება, ნურასოდეს ნუ შეწყდება თქვენი მგზნებარება, ყოველთვის წმინდა და კეთილშობილური იყოს თქვენი ზრახვები“.

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! დიდ წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო!

ბ. აბაშიძე — პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე; **ი. აბაშიძე** — პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; **ა. ბალანჩივაძე** — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი; **ი. ბარბაქაძე** — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ახალი ითვისის მაღაროთამმართველოს გვირაბგამყვანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ი. ბერიტაშვილი** — სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი; **ი. ვეკუა** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, აკადემიკოსი; **ნ. გაფრინდაშვილი** — მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში; **გ. ძიძარია** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი; **ს. დურმიშიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; **ო. თაქთაქიშვილი** — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი; **ქ. გოგიჩიძე** — ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ლ. გუდიაშვილი** — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი; **გ. ჯიბლაძე** — სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი; **კ. ზავრიევი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **ზ. ჯიბაკაძე** — ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ა. კობაძიძე** — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედას კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ვ. კუპრაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **ბ. მელიქიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი; **ნ. მუსხელიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, აკადემიკოსი; **ზ. სალარიძე** — თბილისის ხ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ე. ხარაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; **ი. ხაზარაძე** — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტომაქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი; **ვ. ჭელიძე** — „მთავართბილისმშენის“ № 14 ტრესტის მეათე სამშენებლო სამმართველოს ხუროთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი; **ს. ჭიაურელი** — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა თერჯოლის მუშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობა და მიიღო ამ საკითხზე დადგენილება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ღონისძიებანი, რომლებსაც უკანასკნელ ხანს ახორციელებს თერჯოლის რაიონული პარტიული ორგანიზაცია, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს რაიონის ეკონომიკა, აღმოფხვრას წინათ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დაშვებული დარღვევა-ნაკლოვანებანი, გამოცვალოს უღონო, არაკეთილსინდისიერი და სახელგატეხილი კადრები, განამტკიცოს პარტიული, სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინა, დადებითს გავლენას ახდენენ რაიონის სამეურნეო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ხელს უწყობენ რაიონის წინაშე დასახული სახალხო-სამეურნეო ამოცანების რეალიზაციას. მაგრამ ამ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობას ჯერ-ჯერობით არ უქერს მხარს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი, რომელიც ფაქტიურად გვერდზე გაუდგა რაიონში საერთო ატმოსფეროს გადაჭრით გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის, არსებული ნეგატიური მოვლენებისა და ტენდენციების დაძლევისათვის მიმდინარე ბრძოლას. რაიაღმასკომმა ვერ შეძლო გაეანალიზებინა და სწორად შეეფასებინა თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ორგანოების საქმიანობისადმი წაყენებული მოთხოვნების არსი, ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები პარტიული ორგანოების მრავალგზისი მითითებებიდან თავისი მუშაობის ძირეული გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ, ვერ გამოიყენა საამისოდ არსებული ხელსაყრელი შესაძლებლობანი. მის მუშაობას კვლავ ახასიათებს ზერელე მიდგომა სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი, ცალკეულ მუშაკთა უკანონო მოქმედებისათვის ხელის დაფარება, ლიბერალიზმი, უპრინციპობა, გულარხეინობა და ფორმალიზმი.

რაიაღმასკომი არ იხილავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმო-ორგანიზაციებში შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებასთან, მუშებისა და კოლმეურნეების საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან, თავიანთი შრომის შედეგებით მათი დაინტერესების გაძლიერებასთან, და არ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს ამ დარგებში.

რაიაღმასკომს არ გამოუტანია სათანადო დასკვნები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებიდან, რომლითაც მას მიუთითეს რაიონში მიწათსარგებლობის წესების დარღვევებზე. და დას

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

მუშაობისადმი კონტროლის ორგანიზაციაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა გულდასმით შეარჩიონ პარტიული კომიტეტების იდეოლოგიური განყოფილებებისათვის კომუნისტები, რომლებიც თავს გამოიჩენენ ნიჭიერ პროპაგანდისტებად, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის კარგ ორგანიზატორებად, უზრუნველყონ იდეოლოგიური კადრების შემადგენლობის სტაბილურობა, შეუქმნან მათ იხეთი პირობები, რომ ყველაზე წარმატებით ასრულებდნენ დაკისრებულ საქმეს. პარტიული ორგანიზაციები დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ იდეოლოგიური კადრების ავტორიტეტის ამაღლებისათვის.

პარტიულ კომიტეტებს, იდეოლოგიურ კადრებს რეკომენდაცია მიეცათ ყველა საწარმოო და აღმზრდელობითი მუშაობის გადაწყვეტაში უფრდნობოდნენ შრომითს კოლექტივებს — ჩვენი საზოგადოების ძირითად უჯრედებს. მიაღწიონ, რომ თვითეული შრომითი კოლექტივი იყოს მაღალი პოლიტიკური შეგნებულობის, შრომის სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის მატარებელი, შეურიგებლად იბრძოდეს მომხვეჭელობის, ლოთობის, ხულიგნობის გამოვლინებათა და სხვა ანტისაზოგადოებრივი საქციელის წინააღმდეგ.

საჭიროა ღრმად შევიმუშაოთ კომუნისტურ მშენებლობაში შრომითი კოლექტივების გაპატიურების გზები და მეთოდები, დავეხვეწოთ მშრომელთა აღზრდაში ტექნიკურ-ეკონომიური, ორგანიზაციული, იდეოლოგიური და სხვა ფაქტორების ურთიერთმოქმედების სისტემა. უფრო სრულად გამოვიყენოთ საწარმოო კოლექტივების სოციალური განვითარების დაგეგმვა შრომელთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის, იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის ხაოლქო კომიტეტებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი იდეოლოგიური კადრების თეორიული და პროფესიული სწავლების შემდგომი სრულყოფისათვის. უზრუნველ ყ ო ნ, რომ პარტიული კომიტეტების იდეოლოგიური მუშაკები, პროპაგანდისტები, ეუფნილისტები, მასწავლებლები, პედაგოგები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი ღრმად სწავლობდნენ პარტიის თეორიის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრობლემებს, პარტიული პროპაგანდის მეცნიერულ საფუძვლებს, დაეხმარონ მათ ხაზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების ანალიზისა და შეფასების მარქსისტულ-ლენინური მეთოდის დაუფლებაში. ბეჭითად უნერგავდნენ მათ მოთხოვნებს, რომ სისტემატურად დამოუკიდებლად იმუშაონ თავიანთი იდეურ-თეორიული და პროფესიული დონის ამაღლებისათვის.

თანამედროვე ხაერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, იდეოლოგიურ კადრებს ასწავლონ შეტევითი პოზიციებიდან აწარმოონ ბრძოლა ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ხემინარებზე, კურსებზე და სხვა ფორმებში მოაწყონ მტრული იდეოლოგიის, მისი ძირითადი მიმართულებების წინააღმდეგ ბრძოლის ლენინური პრინციპების, ხერხებისა და მეთოდების შესწავლა, დროულად მარქსისტულ-ლენინურად ახსნან თანამედროვე სოციალური პრობლემები და პროცესები.

გაუაქტიურესონ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, პროპაგანდისტული ოსტატობის, მასების იდეური აღზრდის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების შესწავლა. მიზანშეწონილია, რომ წარმოებდეს იდეოლოგიურ მუშაკთა სწავლა უმაღლეს პარტიულ სკოლებში, აგრეთვე მუდმივმოქმედ კურსებზე სპეციალური სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით.

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს რეკომენდაცია მიეცა პრაქტიკაში უფრო ფართოდ დანერგოს პარტიის რაიკომებისა და ხაქალაქო კომიტეტების პროპაგანდისტთა

ᲣᲐᲠᲚᲝᲕᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲑᲐᲜᲡ Ა-ᲑᲘᲡᲢᲠᲘᲪᲘᲡᲐᲨᲘ

ᲒᲐᲜᲔᲯᲐ-ᲑᲘᲡᲢᲠᲘᲪᲘ, 29 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.) ზაფხულის კაპიტალურ მზით გაბარწყინებული, საღამოსასწაულოდ მორთული ქუჩებით უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ღამეს ხალხი ცენტრალური მოედნისკენ, ამ ქალაქის ქუჩებში, რომელიც ოცდაათი წლის წინათ სლოვაკიის ეროვნული აჯანყების ცენტრი იყო, მოდიოდნენ ანტიფაშისტური ბრძოლის ვეტერანები,—ბევრ მათგანს მეორეს უმშვენებდა ჩეხოსლოვაკიური და საბჭოთა საბრძოლო ორდენები. აქ იყვნენ ბანსკა-ბისტრიცისა და ახლომახლო ქალაქების მუშები, მოსამსახურეები, შუა სლოვაკიის ოლქის სოფლის მშრომელნი, მრავალი სტუმარი, რომლებიც სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე მოდწვეულ.

საღამესასწაულოდ მორთულ მოედანზე, რომელიც სლოვაკიის ეროვნული აჯანყების სახელს ატარებს, გაამართა მრავალათასიანი მიტინგი.

ტრიბუნაზე ბრალ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და წევრობის კანდიდატები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მინისტრები, ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და სლოვაკიის ეროვნული აჯანყების ვეტერანები.

მათთან ერთად არის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო. აქვე არიან საზღვარგარეთის სხვა დელეგაციების წევრები.

ტრიბუნიდან მიტინგი გახსნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ლენარტმა. მან ხაზგასა მისცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნის გ. ჰუსაკს.

„ეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადად მივესალმა სლოვაკიის ეროვნული აჯანყების, ჩეხოსლოვაკიის მეთაი აჯანყებისტური წინააღმდეგობის ვეტერანებს, საზღვარგარეთელ სტუმრებს, მიტინგის ყველა მონაწილეს.

სლოვაკიის ეროვნული აჯანყების იუბილეს რომ აღვნიშნავთ, თქვა გ. ჰუსაკმა, ჩვენ ვიწყებთ ზეიმს ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დამთავრებასთან და საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 30 წლისთავთან დაკავშირებით.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხი არასოდრეს არ ურიგდებოდა ფაშისტურ ტერორსა და პიტლერელთა ბატონობას. კომუნისტები და სხვა პატრიოტები მთელი ექვსი წლის განმავლობაში ჩვენს მიწაწყალზე და საზღვარგარეთ ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის ეწეოდნენ მძიმე ბრძოლას, რომელმაც მრავალი სიცოცხლე შეიწირა.

სლოვაკი ხალხის აჯანყებას, რომელ დროშაზე ჩეხოსლოვაკიის ერთიანი სახელმწიფოს აღორძინების ლოზუნგი ეწერა, დიდი სიმპათიითა შეხვდა მთელი ჩეხი ხალხი, აღნიშნა გ. ჰუსაკმა. სლოვაკიის აჯანყება გახდა მძლავრი იმპულსი ფართო ანტიფაშისტური წინააღმდეგობის, პარტიზანული მოძრაობის განვითარებისა. იმ ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისა, რომელიც ჩეხი ხალხის მასის აჯანყებად გადაიქცა.

წინააღმდეგობის მოძრაობაში, პარტიზანულ რაზმებში, სსრ კავშირში მოქმედი ჩეხოსლოვაკიის ჯარის ნაწილის რიგებში, სლოვაკიის ეროვნულ აჯანყებაში, ჩეხი ხალხის მასის აჯანყებაში და ანტიფაშისტური ბრძოლის სხვა ფრონტებზე თავიანთი მონაწილეობით ჩვენი ხალხების საუკეთესო მამულიშვილებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფაშიზმის წინააღმდეგ დიად ინტერნაციონალურ ბრძოლაში, ჰიტლერული გერმანიის დამარცხების დაჩქარებასა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ანტიფაშისტური ბრძოლით, მაგრამ არასდროს არ დავგიწყდება, რომ ამ ისტორიული ბრძოლის გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ საბჭოთა ხალხი და მისი სახელოვანი არმია, რომელმაც გააკამკეფერა პიტლერული ფაშიზმი და თავისუფლება მოუტანა ჩვენს ხალხებს, ხაზგასმით აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ამ დღესასწაულში — სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 30 წლისთავის ზეიმში — მონაწილეობენ როგორც ჩვენი ძვირფასი სტუმრები — საბჭოთა არმიის გამოჩენილი მხედართმთავრები, რომლებიც წინ უძღოდნენ საბჭოთა ჯარებს ომში, ასევე მონაწილეობდნენ ჩვენს განთავისუფლებაში — საბჭოთა კავშირის მარშლები, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გმირები ალხანაგი გრეჩკო და მოსკალენკო.

ჩვენ სიყვარულით ვიხსენებთ, რომ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში უდიდესი წვლილი შეიტანა, როგორც საბჭოთა არმიის გენერალმა, ჩეხოსლოვაკიელი ხალხის დიდმა მეგობარმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გმირმა, ს.კკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც ამ მიტინგიდან ვუთვლით ჩვენს გულითად სალამს და გულწრფელ მადლობას, თქვა გ. ჰუსაკმა. ჩვენ მადლიერებით ვიხსენებთ საბჭოთა პარტიზანული ორგანიზატორების დამსახურებას სლოვაკიის ეროვნულ აჯანყებასა და მთლიანად ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგობაში. საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი მხარდაჭერასა და დახმარებაზე.

ჩვენ სიამაყის გრძნობით ვუმზერთ მხარს სლოვაკიის ეროვნული აჯანყებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ დიად მოწოდებას, ამ მოწოდების განხორციელებას ჩეხოსლოვაკიელი ხალხისათვის საარსებო მნიშვნელობა აქვს, თქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა.

საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან კავშირი ჩვენს ხალხებს აძლევს საიმედო მშვიდობიან სოციალისტურ პერსპექტივას, ხაზი გაუსვა გ. ჰუსაკმა. სოციალისტური ქვეყნების ოჯახში ჩეხოსლოვაკიამ თავის ისტორიაში პირველად მიიღო თავისი უშიშროების, თავისი საზღვრების ხელშეუხებლობის ნამდვილი გარანტიები, თავისი ხალხის ბედნიერი, მშვიდობიანი ცხოვრებისა და შრომის გარანტიები.

წინააღმდეგობის მოძრაობის ინტერნაციონალური მოწოდების სულისკვეთებით ჩვენ კვლავაც გავაღრმავებთ და განვამტკიცებთ მეგობრობასა და კავშირს საბჭოთა კავშირთან, აქტიურად შევეწყობთ ხელს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას. ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ საერთო მეცადინეობაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, საერთაშორისო ბრძოლების, ეროვნისა და მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.

ამტომ ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს სკკპ XXIV ყრილობის მშვიდობიან პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბრძოლას ერთიანობისა და ერთობისა, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. გრეჩკომ. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობა — ეს არის ხალხთა მეგობრობა, მილიონობით მშრომელი ადამიანის მეგობრობა. და ეს ჩვენი კომუნისტური პარტიების, მათი ინტერნაციონალური პოლიტიკის დიადი მონაპოვარია.

მინდა აღვნიშვნა, ძვირფასო ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავლასჩინივით დაიცვან და განამტკიცონ ჩვენი ურღვევი მეგობრობა.

საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ყველა მოძმე ქვეყნის უძლიერესისი საერთო კუთვნილებაა სოციალისტურ სახელმწიფოთა დიდი ოჯახის ერთიანობა. სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით სრულად დასტურდება ჩვენს დღეებში, როცა ჩადგება მუშაობა სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის განსახორციელებლად. უცილობელია იგი ჩვენს ერთობლივ ბრძოლაშიც მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

მსოფლიო განვითარების მთელი მსვლელობა დამაჯერებლად მოწმობს, რომ ახლა სოციალიზმი საერთაშორისო პოლიტიკის ყველაზე გავლენიანი ფაქტორი გახდა. მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების გზით გადადგმული ყველა დიდი ნაბიჯი პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია სოციალისტური ქვეყნების ინიციატივებთან და აქტიურ ერთობლივ მოქმედებასთან. და თუ დღეს ვამბობთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში შემობრუნება მოხდა „ცივი ომის“ უნდობლობით მოწამლული ატმოსფეროდან სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალური, გონივრული ფორმებისაკენ, რომლებსაც საფუძვლად უდვეს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, ამაში ყველაზე მეტად სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს მიუძღვით დამსახურება.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მშვიდობის ნებისერი პოლიტიკის განხორციელებაში ფასდაუდებელი პირადი წვლილი შეაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

მოხარული ვარ თქვენ და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმის მეომრებს ლ. ი. ბრეჟნევის სახელით გადმოგცეთ ძმური სალამი და მოგილოცოთ საყოველთაო-ხალხური დღესასწაული — სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 30 წლისთავი.

იბრძვიან რა პლანეტის პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ჩვენს პარტიებს, სოციალისტურ სახელმწიფოთა ხალხებს კარგად ესმით, რომ მსოფლიოში არსებობენ და აქტიურად მოქმედებენ რეაქციისა და აგრესიის ძალები, მშვიდობიანი თანაარსებობის მოწინააღმდეგენი. ბუნებრივია, რომ სოციალისტურ ქვეყნებს არ შეუძლიათ თვალი აარიდონ მშვიდობის მოწინააღმდეგეთა ხრიკებს, არ შეუძლიათ არ გამოიტანონ აქედან სათანადო დასკვნები.

დიდი ლენინი გვასწავლიდა: ყოველგვარი რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, თუ თავდაცვის უნარი შეაქვს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირის მთავრობას, მთელ ჩვენს ხალხს ახსოვთ ლენინის ეს მითითება და დღენიადაგ ზრუნავენ საამოდენის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების ამაღლებისათვის.

საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და სოციალიზმის სხვა მოძმე ქვეყნების საბრძოლო კავშირი დაფუძნებულია იდეოლოგიისა და მიზნების ერთიანობაზე, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობაზე. აქ წამყვანი ძალაა მუშათა კლასი და მისი ნაკადი ავანგარდი — მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები. განუხრელად მტკიცდება და ვითარდება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების არმიების საბრძოლო თანამეგობრობა, რომელიც საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების სხვადასხვა მხარეს მოიცავს.

ჩვენ განუხრელად და თანმიმდევრულად ვიცავთ მშვიდობის საქმეს და მტკიცედ გვწამს სოციალისტურ სასეიმწიფოთა კლასობრივი საგარეო პოლიტიკის წარმატება. მშვიდობის მაღალი მიზნები ყველა ხალხის ინტერესებს შეესაბამება. ამ მიზნებს ეზიარებს .მუშათა და კომუნისტური მოძრაობა, მათ უჭერენ მხარს ეროვნული განთავისუფლების ძალები. ამ ძალებისათვის მტკიცე მშვიდობა კოლონიური წარსულის შედეგების სრული აღმოფხვრის დიდმნიშვნელოვანი პირობაა. ეს მიზეზები ძვირფასია მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის უფრთოესი ფენებისათვის. ჩვენ სულ უფრო ვაძლიერებთ ფონისძიებებს დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის ბრძოლაში, ვახორციელებთ ინიციატივიან საგარეო პოლიტიკას, ვიღებთ საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრისათვის და მტკიცე მშვიდობისაკენ მივდგართ.

ა. ა. გრეჩკოს სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ტაში, შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“, „მეგობრობა!“, „მეგობრობა!“.

მოედანს, მთელ ქალაქს მოეფინა „ინტერნაციონალის“ ჰანგები.

მიტინგი დახურულად გამოცხადდა.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲒᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘᲡ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲡ

Ე. ᲞᲐᲞᲐᲘᲝᲐᲜᲣᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 30 აგვისტო. (საკდესი). კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. პაპაიოანუმ, რომელიც აქ საბერძნეთის მთავრობისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის წარმომადგენლობა და ქვეყნის ხელმძღვანელ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლობა მოლაპარაკებებთან დაკავშირებით ამყოფება, პრეს-კონფერენციაზე გააკეთა განცხადება.

თავის გამოსვლაში ე. პაპაიოანუმ განაცხადა, რომ კვიპროსში ახლანდელი ტრაგიკული მოვლენების ნამდვილი დამნაშავენი არიან ნატოს ყველაზე რეაქციული წრეები და უწინარეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალისტები. ე. პაპაიოანუმ აღნიშნა, რომ ამბოხებულნი და „ეოკა-2“ ტერორისტული ორგანიზაციის მომხრეები ქვეყნის ინარჩენებენ საკმაოდ მნიშვნელოვან პოზიციებს კვიპროსის უშიშროების ორგანოებსა და სახელმწიფო აპარატში და — თქვა, რომ ქვეყნის დემოკრატიული ძალები დაეინებით მოითმენენ, რათა იზოლაციაში მოაქციონ ყველა ანტიკოსტიტუციონალისტი.

კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა გამოთქვა რწმენა, რომ კვიპროსელი ხალხი არ დაიშურებს ძალ-ღონეს სამშობლოს დასაცავად, ქვეყანაში დემოკრატიული წესების ადდგენისათვის, პრეზიდენტ მაკარიოსის დაბრუნებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ცნობილი რეზოლუციის საფუძველზე კვიპროსის საკითხის გადაწყვეტისათვის. მან აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭო გულგრილად არ უნდა მოეკიდოს იმას, რომ მისი გადაწყვეტილება არ სრულდება და უნდა მიიღოს კონკრეტული ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის.

ე. პაპაიოანუ განსაკუთრებით შეეხო საბჭოთა კავშირის პოზიციას, რომელიც თანმიმდევრულად უჭერს მხარს კვიპროსის მოუმხრობლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲖᲘᲐᲨᲘ

ᲜᲘᲙᲝᲖᲘᲐ, 30 აგვისტო. (საკდესი). დღეს თავს დაესხნენ კვიპროსის „ცენტრის ერთიანი დემოკრატიული კავშირის“ პარტიის ლიდერს ვ. ლისარიდისს. უცნობმა პირებმა ნიკოზიის ერთ-ერთ ქუჩაში ავტომატების ცეცხლი დაუშინეს მანქანით მიმავალ ვ. ლისარიდისს. იგი დაიჭრა. მოკლულია ავტომანქანის მძღოლი.

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲨᲘᲢᲛᲘᲗᲐ ᲩᲐᲘᲨᲚᲐ

ᲑᲐᲜᲒᲙᲝᲙᲘ, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც მიღებული ცნობებიდან ჩანს, ჩაიშალა პნომპენის ჯარების კონტრშეტევა, რომლებიც ცდილობდნენ განეტვიანებინათ თავიანთი ზღუდეები პნომპენის სამხრეთ მიხადგომებზე და ხელში ჩაეგდოთ პატრიოტთა საცეცხლე პოზიციები. მეკონგისა და მდინარე ბასაკის ნაპირებით მომავალი ლონ ნოლის ჯარის ნაწილები, რომლებსაც ტანკები მიჰყვებოდნენ, კარგად ორგანიზებულ დაცვას წააწყდნენ და წინ ვერაფერ წაიწიეს.

კამბოჯის ყველა ფრონტზე ინიციატივა მტკიცედ აქვთ აღებული ხელში გათავისუფლების ძალებს. პნომპენის ჯარებს, რომლებიც ბლოკირებული არიან ლონ ნოლის რეჟიმის კონტროლს დაქვემდებარებულ რამდენიმე პროვინციულ ცენტრში, სულ უფრო მძიმე დგომარეობა ექმნებათ. პატრიოტები აძლიერებენ მოწინააღმდეგეზე შეტევას სიემ-რეაპისა და ბატამბანგის პროვინციებში.

ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲠᲝᲛᲘ, 30 აგვისტო. (საკდესი). წუხელ იტალიის დედაქალაქის ორ უდიდეს ბაგეზეში — ტერმინუსი და პრენესტინოში განხორციელდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უმაგალითო მასშტაბის ოპერაცია. ასობით პოლიციელმა და კარაბინერმა, რომლებიც ავტომატებით იყვნენ შეიარაღებული, ალყა შემოარტყა ბაგეზლების შენობებს. მათ საბუთები შეუმოწმეს მგზავრებს, შეამოწმეს ყველა ჩამოსული მატარებლის ბაგეები.

ბაგეში რომის ვაგზლებში გამოცხადდა რკინიგზაზე ახალი ტერორისტული აქტის შესაძლო საფრთხის შესახებ მრავალ ცნობასთან დაკავშირებით. გაზეთები ამასთან დაკავშირებით წერენ ნეოფაშისტთა მიერ სამგზავრო ექსპრესის „იტალიკუსის“ ამასწინანდელი აფეთქების შესახებ, რომლის შედეგად დაიღუპა 12 კაცი და ათობით დაიჭრა.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲢᲜᲐᲛᲘ



ᲗᲮᲘᲛᲣᲨ ᲐᲜᲗᲘᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲜᲒᲘᲡ, ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲞᲐᲠᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ. ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ — ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒᲝᲛᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ.

ᲮᲔᲠᲐᲛᲣᲨ: ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲐᲩᲐᲕᲗ ᲓᲐᲡᲐᲣᲚᲘᲡᲔᲚᲐᲓ.

ᲤᲝᲢᲝ ᲔᲣᲠᲜᲐᲚ „ᲙᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“.

ᲡᲐᲓ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ

ᲛᲫᲚᲐᲛᲠᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 აგვისტო. (საკდესი). მძლავრმა აფეთქებამ მთლიანად დაანგრია ოთხი შენობა ქალაქ ჩატანუგას ცენტრში (ტენესის შტატი). პოლიციის წარმომადგენლების ცნობით, მეხანძრეები ებრძვიან ცეცხლს, რომელიც მოედო დანგრეულ შენობებს და გავრცელდა ახლო მდებარე ექვს ნაგებობაზე.

არის ადამიანთა მსხვერპლი. აფეთქების მიზეზებს არ ატყობინებიან.

ᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲗᲥᲔᲨᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 აგვისტო. (საკდესი). ნამდვილი ტროპიკული თქეში დაატყდა თავს ნიუ-იორკს. კოკისპირულმა წვიმამ, რომელსაც თან ახლდა ძლიერი ჰექა-ქუხილი, დატბორა ბევრი გზა, მეტროს გვირაბები, დაზიანა ქალაქის კომუნიკაციები, შეაფერხა ტრანსპორტის მოძრაობა. დროებით დაიხურა ნიუ-იორკის ყველა აეროპორტი, ჩამოსულ თვითმფრინავებს დასაჯდომად გზავნიდნენ ვაშინგტონში, ბოსტონსა და სხვა ქალაქებში. მარტო 15 წუთში ნიუ-იორკში 175 მილიმეტრი ნალექი მოვიდა.

ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲜᲔᲜ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲨᲘ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 30 აგვისტო. (საკდესი). თხუთმეტი კაცი დაიღუპა ქარიშხალში, რომელსაც თან სდევდა კოკისპირული წვიმები და რომელიც თავს დაატყდა ტაურუსის (სამხრეთ თურქეთი) მთებში მდებარე სოფლებს.

ქარიშხლის შემდეგ დაწყებული წყალდიდობის შედეგად ყველაზე მეტად დაზიანდა ქალაქი ერმენაკი, სადაც დაიღუპა 10 კაცი.

ᲤᲔᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲨᲣᲐᲛᲓᲔ ᲒᲣᲠᲘ ᲜᲐᲠᲙᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲛ ᲞᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲗᲠᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲛᲘᲗᲘᲜᲒᲘᲡ

ფეიქრები

(დასასრული)

მომზადება, ქსოვა, ქსოვილის გამოყენანა, ღებვა. თქვენ ხომ ცხოვრების მრავალი წელი შესწირეთ ამ ფრიად კეთილშობილურ საქმეს.

არ ვიცი, სხვები ამჩნევენ თუ არა ამას, მე კი უმალ შევნიშნე, საამქროში შესვლისთანავე ერთბაშად როგორ გაგიბრწყინდათ თვალები, სიხალისმ, სიმკვირცხლე მოგემატათ, გამხიარულდით. მანქანების თავბრუდამსხვევ გრიალში თითქოს რაღაც ძნელად მისაწვდომ ხმებს აყურადებდით, რაღაცას ითვლიდით, განსაზღვრავდით. თქვენ გამოცდილ თვალს არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი, მითითებებს აძლევდით მრთველებს, რომლებიც ისე სწრაფად ასწორებდნენ ამა თუ იმ დეფექტს, რომ თვალს ვერ ვასწრებდი.

სიყვარულით, მოწონებით შემოგქერდნენ ჭაბუკები და ქალიშვილები... ისინი თქვენში ხედავდნენ უფროსს, მოსიყვარულე ამხანაგს, გამოცდილ, საქმის მცოდნე ხელმძღვანელს.

თვალუწვდენელ საამქროს ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარეთ. თქვენს გამოჩენაზე არავინ მირბოდა, არავინ მორბოდა, ყველა მშვიდად გაგარძობდა თავის საქმეს. ეს კი იყო, რომ ოსტატები, ქვეოსტატები, მრთველები რაღას არ გეკითხებოდნენ, რას გაკეთებ არ სწადდათ. ყველას მოკლე, ამომწურავ პასუხს აძლევდით. ლაპარაკობდით დამაჯერებლად, რწმენით, ყველა სიტყვას აფოლადებდით.

როცა გთხოვეთ გაგეცნოთ მოწინავე ფეიქრები, მომიგეთ, კი, ბატონო, მაგრამ გაგიჭირდათ მათი დასახელება.

არ ვიცი, რა აზრი გიტრიალებდათ გულში, რას განიცდიდით, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ თქვენ მოსიყვარულე მამასავით გიჭირდათ ერთი შვილი მეორეზეთვის გემჯობინებინათ.

და ბოლოს, თითქოს საკუთარ თავს ემახსენოდით, წაიღაპარაკეთ, არ ვიცი, რომელი ერთი წარმოგიდგენოთ, ბევრი, ძალიან ბევრი მოწინავე მრთველი გეგავს, საქმის მცოდნე, გამრჯე, დაუზარელი.

—აი, თუნდაც ეს!—და ამაყად თავშემართული ახალგაზრდა ქალისაკენ პიგვანდეთ, თეთრ ძაფდახვეულ ბობინებს შორის, თოლიის ფრთები რომ გამოეხსნა და თეთრად ქათქათებდა: ალბათ გაგეგონებათ. თამარ დაოელაშვილია, ეს-ესაა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ავირჩიეთ. ორი ათას თითისტარზე მუშაობს, ყოველდღიურად გეგმას 140 პროცენტით ასრულებს. მთელი საამქროების თვალია, ორი შვილის დედაა.

თქვენ ასევე კარგად დაახასიათეთ, შეაქეთ, მარჯვენა დაულოცეთ თინა მაისურაშვილს, როზა ღენონავს, დედა-შვილს დარეჯან გელაშვილსა და მზია ჩანჩალაძეს და კიდევ ბევრ სხვას. ფრიად მესიამოვნა, რომ თქვენ ასევე აღტაცებით ლაპარაკობთ კოლეგებზე, კომბინატის ხელმძღვანელებზე.

უღაოდ საგულისხმოა თქვენი ხიტყვები:

— არიან ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ სიტყვა პატრონი! ჩემი აზრით, სდგება ის, ვინც ამას ძველი ხნიშვნელობით გებულობს. დღეს სიტყვა პატრონმა სხვანაირი ელერადობა მიიღო. რადა შორს წავიდეთ, ჩვენი კომბინატის მაგალითზე შევჩერდეთ. მეორე წელია კომბინატს მცოდნე, გამოცდილი სპეციალისტი, ინჟინერი გიორგი შარიქაძე ჩაუდგა სათავეში. თუნდაც ნურაფერს ვიტყვით იმ წარმატებებზე, რაც ბოლო დროს კომბინატმა მოიპოვა. კაცი ბრმა უნდა იყოს, რომ არ დაინახოს ეს: მანქანას, დაზგას, საცხოვრებელ ბინებს, ხასადილოს, ეზოებში დარგულ ნარგავებსაც კი მზრუნველი პატრონის ხელი დაეტყო, ყველაფერი დიდი სიყვარულით, დიდი სიფაქიზით არის მოვლილი, დალაგებული, დასუფთავებული.

დიახ, ბევრი რამ არის დამოკიდებული ხელმძღვანელზე. მას უპირველეს ყოვლისა თავად უნდა შესტკიოდეს გული ყველაფერზე. ამასთან ძმად, მეგობრად, ახლობლად უნდა მიაჩნდეს მუშა, იცნობდეს მის ხასიათს, ფიქრებს, მისწრაფებებს, შეეძლოს ადამიანთა სულისაკენ მიმავალი გზების გამონახვა. არ შეიძლება ყველასთან ერთნაირ ენაზე ლაპარაკი. ზოგს დაყვავება, მოფერება უნდა, დაყვავებაა უბარი წამალი. იცით, რა ბევრს ნიშნავს, როცა ადამიანი გრძნობს ხელმძღვანელის მხარდაჭერას, მზრუნველობას?! მუშისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება ესაა, თუ შრომას დაუნახავენ, დაუფასებენ. ხომ გრძნობთ თვითეულ მანქანასთან, თვითეულ დაზგასთან, საამქროებში რა შრომითი აღმაფრენა სუფევს?! ასეთი ხალისი, ასეთი მეზნებარება ჩვენთან არასოდეს არ ყოფილა, მეც არ ვიცი, რა ძალა აღაფრთოვანებს, რა ცეცხლი აღანთებს ათასობით ადამიანის სულს!

მართალს ბრძანებ, პატივცემულო ზაქარია!

ასეთივე აღმაფრენა, მეზნებარება ეიგრძენი პირველ საქსოვ ფაბრიკაშიც. მრთველი ქალიშვილები მზრუნველობით დასტრიალებენ დაზგებს. მათ ანთებულ, საოცრად მეტყველ თვალებში ბედნიერების, სიხარულის ოქროსფერი სხივები ლივლივებენ. ეს გასაგებიც არის! ადამიანს ხომ ამაზე დიდ ბედნიერებას არაფერი ანიჭებს, ვიდრე ის საქმე, რომელიც უყვარს, ცხოვრების მიზნად დაუსახავს.

თქვენ კეთილი სიტყვით მოიხსენიეთ საქსოვი ფაბრიკის დირექტორი კოლია იორამაშვილი, ყოველმხრივ წესიერი, მცოდნე, გამოცდილი, საქმის ერთგული ხელმძღვანელი. სხვებიც ასე ახასიათებენ მას. მეც ვეთანხმებით. ოღონდ თქვენ ნათქვამს მინდა დავუმატო, რომ ამ კაცში ამასთანავე დაენახე გულისხმიერი, გამკითხავი, მუშებისადმი კეთილის მოსურნე ადამიანი.

საამქროში გაგარეკეთ ორ ათეულ წელს, შრომას, გარჯას მისთვის თავისი კვალი დაუნეკვია, სახე დანაოჭებია, ნაადრევად გატეხილა, მაგრამ მაინც ჭაბუკივით შემართული მირბი-მორბის, ერთ ადგილზე არ ჩერდება. თქვენთვე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ მამაცხონებულს სულ ეღიმება, სულ მხიარულ ხასიათზეა!“ შეხვედრისთანავე არ შეიძლება მისადმი პატივისცემა, მოწიწება არ იგრძნო!

ამას წინათ მქსოველი სირინოზ ხვანიშვილი ავად გამხდარა. ექიმებს გადაუწყვეტიათ მისთვის სასწრაფო ოპერაციის გაკეთება. სირინოზს არც მშობლები ყავს, არც და-ძმა, არც ნათესავები. თურმე ამხანაგი გოგონები, საამქროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ნელი კუჭიავი და თვით ფაბრიკის დირექტორი ნიკოლოზ იორამაშვილი მთელი დღე საავადმყოფოს არ მოსცილებიან.

ოპერაციამ კარგად ჩაიარა.

როცა ავადმყოფს გამოღვიძებია და ნანა ძინდიაშვილი და ნათელა თაქთაქიშვილი დაუხახავს, გული ამოუჩუყებია და ბავშვივით ატირებულა.

— რა ბეგირებს, ოპერაცია დამთავრდა, შენ უკვე კარგად ხარ! — უთხრეს ამხანაგებმა.

—გმადლობთ, გოგოებო! მეგონა მარტო ვიყავი...

ქალიშვილები ნაოპერაციევ მეგობარს ამხნევებდნენ, ართობდნენ, მზრუნველობდნენ, ადამიანურ სიმალითან მორიგეობდნენ...

პატივცემულო ზაქარია, ბევრი, ძალიან ბევრი რამ მოგვიყენეთ ბოლო. რას იზამ! საგაზეთო წერილში მეტს ვერ ჩასტევ!

თქვენ ბრძანეთ ქართველი ხალხი არასოდეს ასე არ ყოფილა დარაზმული, ერთიანი, შემეჭიდროებული, მონოლითური, შრომასა და ცხოვრებას მოწყურებული, როგორც დღეს არსო.

თქვენ კეთილი სიტყვით მოიხსენეთ ქართველი მწერლებიც. ყველას უხარია, ყველა მადლობელია, რომ სიტყვის ოსტატები მხარში ამოუდექით ხალხს, პარტიას, მთავრობას იმ დიდი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რაც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის არის დასახული.

პატივცემულო ზაქარია, ეს ასეა, სხვანაირად არც შეიძლება!

რასან ხალხს უნდა ლექსიც,
მუსიკაც —
და მსახური ხარ რასან,
საწერ მაგიდას კი არ უზიხარ —
ბარიკადზე დგახარ.

(შ. ნიშნიანიძე).

დიახ, ქართველი მწერლებიც ხალხთან ერთად მოწინავე ხაზზე, ბარიკადებზე დგანან!

მალე, სულ მალე დაიწერება ახალი მოთხრობები, რომანები, რომლებშიც იმ დიდი ძერების ფონზე, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ხდება, აისახება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებული შრომა, ცხოვრება, მათი უსაზღვრო ერთგულება საშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი.

ვანო ურჯუმელაშვილი.

ფეიქართა რჩეული

ხურათებზე: ზემოთ — გორის ბამბეულის კომბინატის მოწინავე მქსოველი, სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტი თამარ დაოელაშვილი. ქვემოთ — სართავი საამქროს ხედი.

ბ. მურაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სცენაზე გულის ძახილით

ხურათებზე: იაკობ ტრიპოლსკი დავთთის როლში — ვ. ბარათაშვილის პიესა „ჩემი ყვავილეთი“ (ზემოთ) და ბაბას როლში— ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“.

ბაბას სოლში ცეცხლი ტრიალებს, რაღა მისთვის მოიცალა წუთისოფლის სამუხთლემ, ერსა და ბერს რა უპასუხოს, რით დაუმტკიცოს, რომ სალოცავი სამშობლო ქალის ალერსზე არ გაუყიდნია. მთები ხედავენ მთიელი კაცის გულს, მაგრამ ვერაფერს იტყვიან, თავი თვით ბაბამ უნდა ამართლოს... შეძლებს კაი?!.. გულუბრყვილობა იქნებოდა გგეფიქრა, თითქოს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში“ ბაბას ამ სულიერ ღელვას მთელ კაცზე უკეთ ვერავინ გამოხატავდა, მაგრამ ალბათ არც უამისობა იყო და როლი იაკობ ტრიპოლსკის მიანდეს. მთიელთა ხსენებაზე, წიკლაურები და ჭინჭარაულები, ჯურხები და ვაფიკები გვახსენდება და საკითხავია, ტრიპოლსკის კვირი მთაში საიდან გაჩნდა.

..იაკობს პაპა, პოლონელი ვზის ოსტატი იაგორ ტრიპოლსკი ბედმა საქართველოში გადმოსროლა. ითთონ ასე ტყოდა, უგზომობამ ჩამომიყვანაო, ისე კი უფრო გზის კეთებ-კეთებით ჩამოვიდა, ბინა საარაგვოში, ფასანაურში დაიდო და ჩვენს მიწას შვიდი შვილის ფესვით. მკვიდრად ჩაეზარდა. სამშობლოსკენ გულს არაერთხელ გაუწვია, როგორც კიდევ აყოილა, მაგრამ ბედს შუაგზიდან მაინც დაუბრუნეია. შორი იყო მაშინ პოლონეთი. მაშინ-მეთქი, როცა ვამბობ, ეს იმიტომ, რომ დღევანდელმა ტექნიკამ და მიმოსვლის საშუალებებმა წინანდელი მანძილის გაგება მოიტაცეს და შორეული წარსულისაკენ სამუდამოდ გაისტუმრეს.

ასე ეაზრდნენ მთაში ტრიპოლსკები...

თვით იაკობი ფასანაურში დაიბადა, სკოლის წლებიც იქვე გალია და სწავლა თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე განაგრძო.

..უნივერსიტეტის სცენა. ჯონ გოლსუორთის პიესა „უცხო კაცი“. რეჟისორმა ვასო ყუმიტაშვილმა მთავარი როლის შემსრულებლად სტუდენტი იაკობ ტრიპოლსკი მოიწვია. ეს იყო განთქმულ რეჟისორთან პირველი შეხვედრის სიხარული.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მასწავლებლად შედგა ფეხი თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. სწორედ ეს იყო ჩემი ურთულესი როლი, — იგონებს მსახიობი, — ვასწავლებლის როლი პირველ გაკვეთილზე, სადაც პიესას ავტორიც, რეჟისორიც და შემსრულებელიც თვითვე ვიყავი. გაკვეთილებზე ენის ძალნების შესწავლასთან ერთად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ჭაბუკი მასწავლებელი გატაცებით უამბობდა ფილიმ შექსპირის, ჯონ გოლსუორთის, ჩარლზ დიკენსის, რობერტ ბერნსის შემოქმედებაზე. ბავშვები ფართოდ გახელილი თვალებით შესცქერიოდნენ და ხარბად ყლაპავდნენ უცხო ლიტერატურის შედევრებზე აღფრთოვანებულ სიტყვებს. მოსწავლეებიც და მასწავლებელიც თითქოს ქმაყოფილი იყვნენ, მაგრამ გულს სხვა რაღაც სწყუროდა, სხვა ეოცნებებოდა... იტყობა „საწამლავნარევი“ შარბათი, რომელიც სტუდენტურ სპექტაკლში მთავარი როლის შემსრულებელმა შესვა, ალარ დაეხსნა და თავს გამუდმებით ახსენებდა...

...ტკივილი ადრე თუ გვიან მკურნალის კარზე მიგიყვანს და ინგლისური ენის მასწავლებელიც მარჯანიშვილის თეატრს მიადგა.

ასე დაიწყო.

ოცდაათი წელი გავიდა იმ დღის აქეთ. ამ ხანებში საქართველოს სახალხო არტისტმა იაკობ ტრიპოლსკიმ ასამდე როლი შეასრულა. ამ წერილში იმისი სიშელეება არ არის, ყოველი მათგანი (ალბალელი და დაწერილები ბინანიხლერთ, ჩვენს წინ ეფრანალ-ვაზეთების მთელი დასტაა და ჩვენც ამ პრესიდან თითო ანბრს ამოვკრებთ, შეგაჯერებთ, დაგიხმართ და მოგვიშველიებთ.

„წლების მანძილზე იაკობ ტრიპოლსკი გულისყურით ადევნებდა თვალს უფროსი ამხანაგების, სცენის დიდოსტატების ზეაქარიაძის, ვეძიაშვილის, ღამბაშიძის, ანჯაფარიძის, თაყაიშვილის, შავგულიძის ანტიოხეული გარეოსახვის, განცდის და შესრულების მაღალ ხელოვნებას, სწავლობდა, იკვლევდა მსახიობური სიკელ ეროოულ ზიგეიულ-ზოხიგულ გზებს და ღღითიღღე აღწერდა ამბორკეებს. ამ ჩანაწერებიდან, ფანოოვეთია მისი „ეპიპლეკანი: მკვეთრად სახასიათო (ჰორტენზია, მალვოლიო, ფაიუნაი, დათა), ორმა ფსიქოლოგიური (ალა, ზუთრა ხარატელი, სპეი). რომანტიკული (ბესიკი), ტრაგიკული (ბახა, ტიბალდი, ალუდა, ფილიპე)... ნამდვილმა მარჯანიშვილელმა — ასე ამბობენ მასზე, — სამარილოანად მოიპოვა აღიარება, სიყვარული, პოპულარობა“.

„...ტრიპოლსკი სპექტაკლში „ხეები ზეზეულად კვდებიან“ უპირატესად გმირის სულიერი მდგომარეობის წარმოსახვას ისახავს მიზნად. ადამიანის რთული სულიერ ცხოვრებაში ღრმად ჩაწვდომის ძვირფასი ნიჭიერება გამოიჩინა თავზარდაცემულ ბებიასთან საუბრის ეპიზოდში. კიდევ უფრო მეტ სიმართლეს და მხატვრულ ძალას მიაღწია მან ბებიის რისხვის წინაშე — ფუფუჩავის, მშობლიური სახლიდან უკანასკნელად გაქცევის მომენტში“.

„...იაკობ ტრიპოლსკი“ ოსტროვსკის პიესაში „ტალანტები და თაყვანისმცემლები“, რომ იტყვიან, სცენაზე ცხოვრობს, ცხოვრობს როლში სულიერადაც და ფიზიკურადაც. გარეგნული სახიერება სულიერის შესატყვისად არის მკაფიოდ და მკვეთრად გამოხატული. მისი დეულებოვი შემზარავია. იმდენად მამხილებლად არის წარმოსახული“...

...„მაიას რაზის მებრძოლთა შორის პირველ პლანზეა მანუჩა — სარკინეთელი ყმა, რომელსაც განასახიერებს ი. ტრიპოლსკი. მის მიერ შექმნილი მგზნებარე ჭაბუკის ეიკაკეური სახე მსახიობის ოსტატობისა და უტყუარი ნიჭის ნათელი დადასტურებაა“...

...ტრიპოლსკიმ კაც ზემამბაიას განზოგადებული, მონუმენტური, რომანტიკულად მგზნებარე სახე შექმნა“...

„თავისი ხავერდოვანი ხმით, ცეცხლოვანი ტემპერამენტით სანაბა გამოკვეთის სიფაქიზით, ადამიანის შინაგანი სამყაროს დანახვის სიზუსტეთ, სიუცხოო გემოვნებით იაკობ ტრიპოლსკიმ ქართულ თეატრში თავისი ინდივიდუალური სახე გამოავლინა“.

ამ ათიოდე წლის წინათ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე წარმატებით დადგა ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“. მისტერ ჰიგინსისა და უაზნო ელიზა დოლიტლის საინტერესო თავგადასავალი თბილისელმა მაყურებელმა კარგად მიიღო. პიესა ქართულად ლაღად აღიერდა და მთაოკმნელებზე მოსე ჩარჩავსა და იაკობ ტრიპოლსკეხი საქებარი სტეკვაპრესამაც თქვა.

ყველფერი, რაც ზემოთ ვთქვეთ, საინტერესოა, მაგრამ ყველა შემოქმედის ცხოვრებაში უმთავრესი არაა როლი, რომელიც ჯერ არ შეასრულებია. ჩვენც დაინტერესდეთ მსახიობის მომავალი გეგმებით და ვთხოთ ამ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი და ავტომობილი

ქუჩის ხტრიქონები მილიციის თქმებიდან: „მძღოლმა მობრუნებისას მართვა ვეღარ შეძლო და მანქანა გადაბრუნდა“, „მძღოლმა გადაჭარბა მოძრაობის სიჩქარეს“, „დაეჯახა მოტოციკლს“, „ცუდი ხილვადობის პირობებში (ნისლი) სცადა გაესწრო წინა მანქანისათვის და ამის შედეგად დაეჯახა შემხვედრ ავტობუსს“. თვითეულ ფრაზაში იფარება ადამიანთა დაღუპვა ან დასახიჩრება, დიდი მატერიალური ზარალი.

რაზეა დამოკიდებული საიმედოობა სისტემისა „ადამიანი — ავტომობილი — მოძრაობის არე?“ მეტ წილად პირველ რგოლზე — ადამიანზე. მართლაც იგივე მოსაბრუნებელი ასობით მძღოლია დაძღოა, ერთ მათგანს კი ხიფათი შეემთხვა; ნისლში ბევრნი მოძრაობენენ, მაგრამ ვიღაც შეეჯახა შემხვედრ ავტობუსს. რითი განსხვავდებოდა იგი, ეს ხიფათიანი, ყველა სხვისგან? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ გზაზე შექმნილმა მწვავე სიტუაციამ მას წაუყენა ნოთხოვნები, რომლებიც იმ მომენტში ადემატებოდა მის ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს.

აი დაღმა დაშვებისას უეცრად ჩაქრა ძრავი და თანაც უმტყუნა მუხრუჭებმა. თუ საჭესთან მჯდომი ადამიანი ემოციურად მერყეობა, ადვილად ღიზიანდება, პანიკა იპყრობს ან უბრალოდ — დაქანცულია, ავარია პრაქტიკულად გარდუვალია. ზეარელე ანალიზი კი აჩვენებს: მთელი უბედურება ავტომობილის უწესესრიგობა იყო. ხოლო თუ მძღოლს მაგარი ნერვები აქვს და შეუძლია მყისვე შეაფასოს ვითარება, მიიღოს გადაწყვეტილება და განახორციელოს. იგი —ავარიის შესაძლებლობა მრავალგზის იკლებს. დასკვნა ერთია: საბრალისაპრტო შემთხვევათა რიცხვი რომ შეამცირო, ხამერუა საკმაოდ მაღალ დონეზე ვინაჩენებადეთ მძღოლთა მუშაობის უნარს.

პირველი რამ ამ მხრივ, რის წინააღმდეგაც საჭიროა გავაძლიერთ ბრძოლა, არის სმა, საკმარისია გავიხსენოთ, რომ უკვე საშუალოდ დათრობისას ავარიის შესაძლებლობა რამდენმე ათეულჯერ იზრდება. მეორე: ბევრს სიგარეტი მიაჩნია ყურადღების გაძლიერების, დაშვებიდან საშუალებად. ნამდვილად კი ნიკოტინი ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ფაზურად მოქმედებს — ხანმოკლე აგზნების შემდეგ დგება ხანგრძლივი დამუხრუჭება, და მუშაობის უნარი შესამჩნევად კლებულობს. როცა მძღოლის შრომა და დასვენება რაციონალურად არ არის ორგანიზებული, ალკოპოლის და ნიკოტინის მოქმედება განსაკუთრებით მკაფიოდ ირნენ თავს, უფრო სწრაფად ვითარდება დაქანცვა და მიხი უაღრესად საშიში თანამგზავრი დამუხრუჭებულობა. კაცი კვლავ ავტომატურად მართავს მანქანას, მაგრამ ვერ ამჩნევს სწრაფ ცვლილებებს გარემო ვითარებაში; თუ ასეთ დროს ავარიული სიტუაცია წარმოიშვა, მძღოლი ვერ ასწრებს „ეონს მოვიდეს.“

საჭესთან ჯდომისას მუშაობის სპეციფიკა ზრდის მძღოლის შრომისა და დასვენების მეცნიერულად დასაბუთებული რეჟიმის, სასადილო შესვენების, ცვლისშიდა და ცვლებს შორისი პაუზების დროისა და სიიდის სწორად განსაზღვრის მნიშვნელობას. სწორი არ არის ვიფიქროთ, თითქოს დაქანცვა ვითარდება მუშაობის ხანგრძლივობისაგან პირდაპირ დამოკიდებულად. ყურადღების, რეაქციის სისწრაფის მკვეთრად დაქვეითება ხდება 7-8 საათის შემდეგ. ნებისყოფის დაძაბვით მძღოლს შეუძლია მოახდინოს ორგანიზმის შესაძლებლობათა მობილიზება და კიდევ ერთ ხანს საკმაოდ მაღალი ხარისხით ატაროს მანქანა, მაგრამ 10 საათის შემდეგ ძალის მარაგი მეტ წილად ამოიწურება. შემთხვევითი რიდია, რომ ავარიების პროცენტი მაშინ მკვეთრად იზრდება.

საგზაო-ხატრანსპორტო შემთხვევათა დაასოლებით მესამედი ხდება ჯერ კიდევ მუშაობის პირველ საათებში — იმ პერიოდში, როცა ორგანიზმი მუშაობაში ჩაერთვის, სამუშაოდ განეწყობა“. აი რატომ ესოდენ დიდმნიშვნელოვანია ის ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ ამ საშიში ფაზის შემოკლებას. მათ შორის არის სრულფასოვანი დასვენება — სულ ცოტა 12 საათი დღეღამეში, აქედან 7-8 საათი მშვიდი ძილი. და აი აქ არ შეიძლება არავითარი „რაციონალიზაცია“ — ძილის თუნდაც 6 საათამდე შემცირება ერთნახევარჯერ ზრდის ავარიების რაოდენობას. ფრიად სახარგებლოა რეჟიმის წინ ვარჯიშის მოკლე (სულ 5-7 წუთი) ხერხი: ადგილზე ხვლა, გაბმორება, ჩაჯდომა, მობრუნებანი და ტანის დახრა, ადგილზე რბენა. სასურველია მუშაობის წინ ფინჯანი ყავის, ჭიქა ჩაის დალევა. ზოგიერთ ავტოსაწარმოში მძღოლები რასეულის წინ 5-6 წუთის განმავლობაში დაძლევენ ხოლმე დაბრკოლებათა თავსებურ ზოლს (მიხვევ-მოხვევა, ბეკრმორება, ზუსტად შესვლა „ჭიშკარში“).

თუ მძღოლი ძალიან დაიღალა და ძილი ეკიდება, დაუყოვნებლივ უნდა გააჩეროს მანქანა, გარეთ გამოვიდეს. რამდენიმე ვარჯიში გააკეთოს, თუ შესაძლებელია, ჭიქა ჩაი ან ყავა დალიოს. თუ დაღლილობა დროზე არ მოიხსნა, იგი დღის განმავლობაში ეროვდება და გადადის დაქანცვად. მისი ნიშნებია: მუშაობის შემცირებული უნარი, ცუდი გუნება-განწყობა, ყაღიზიანეს ულ ოგა, თავის ტკივილი, ძილის მომლა. ასეთ მდგომარეობაში ხატრანსპორტო შემთხვევები 1,6-2-ჯერ უფრო ხშირად ხდება.

მძღოლის მუშაობის უნარზე უარყოფით გავლენას ახდენს ხმაური, ვიბრაცია, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებანი, გარეშე სუნი, კაბინაში მოხვედრილი ტექნიკური ნივთიერების ან გადამუშავებული გაზების ზემოქმედება. ეს რომ იცის, მძღოლს თვითონ შეუძლია ზოგი რამ გააკეთოს.

კაცი, რომელიც სწრაფად მიმავალი მანქანის ხაჭეს უზის, მაღალ ნერვულ-ემოციურ დაძაბულობას განიცდის. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვუშურუსხლდგოდეთ მძღოლს, უნდა ადემოვეხვიოთ მასთან ურთიერთობაში უხეშობა, ყვირილი, დატეხმა, დამსახურებულ მნიშვნელობასაც კი ‘ეშვიდი ფერეთ უნდა ვაძლევდეთ. არავინ არ მოგიწოდებთ, რა თქმა უნდა, თავი დაანებოთ მკაცრ მომთხოვნელობას, მაგრამ იგი ხომ შეიძლება შეეახამოთ კეთილმოსურნეობასთან და, სანქციებს როცა მიემართავთ, უნდა ვითვალისწინებდეთ: ზოგჯერ მშვიდი საუბარი, კეთილმოსურნე ტონით გამოთქმული რჩევა გაცილებით უფრო მაღალ ეფექტს იძლევა.

ყველაზე კომფორტაბელური მანქანის კაბინაც კი შედარებით პაგარაა, მძღოლის სამუშაო პოზა იძულებულია, ფიზიკური დატვირთვები მნიშვნელოვანი არ არის. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე, იწვევს მასში მთელ რიგ დამახასიათებელ რეაქციებს. მათი შემცირების ერთ-ერთი უტყუარი საშუალებაა მიმართოთ მოძრავ თამაშობებს, რბენას, ტანვარჯიშს, ცურვას, სათხილამურო სპორტს. კარგად გავარჯიშებულ ადამიანს ნაკლები შანსი აქვს, რომ გზაში უბედური შემთხვევა მოუვიდეს.

ა. ვაისმანი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ა. ჩანტლაძე— ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში

უსაფიშროება საჭესთან

ტანვარჯიშში

ტურიშჩევა რჩება... ტურიშჩევად

რუსუდან სიხარულიძე იყოფს მესამე-მეოთხე ადგილებს

ბერლინში სპორტის სასახლეში დამთავრდა გუნდური შეჯიბრება სხრ კავშირის თასზე და... დაიწყო ახალი ტურნირი — უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა პირადი შეჯიბრება საკავშირო თასებზე.

მხოლოდ 0,55 ქულით გაუსწრო რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა (926,9) საერთო გუნდურ ჩათვლაში ბელორუსიის ნაკრებს და ამ შეჯიბრების მთავარი პრიზი მოიპოვა. ბარჯვებულებს კიდევ ერთი თასი გადაეცათ პირველი ადგილისათვის ვაჟთა შორის. საკავშირო თასი ქალთა ტურნირში მოიპოვეს ბელორუსიის ტანმოვარჯიშეებმა.

კვლავ უბადლო იყო ოლგა კორბუტის გამოსვლა ორძელზე, რომელზეც მან მოზდენილად შეასრულა ე. წ. „კორბუტის მარყუჟი“. მსაჯებმა მს ტურნირის უმაღლესი შეფასება მიხცეს — 9,8 ქულა. მაგრამ ო. კორბუტმა ძალიან სუსტად ითამაშა ბოლო დროს და... მხოლოდ 8,95 ქულა მიიღო.

რაც შეეხება ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ბაბოლუტურ ჩემპიონს ლიუდმილა ტურიშჩევას, მან ლიტვის ფედერაციის სპორტის სასახლის თაღებქვეშ დაამტკიცა, რომ კვლავ რჩება მსოფლიოს ქალთა ტანვარჯიშის ლიდერად. ლ. ტურიშჩევა (როსტოვი) ვილნიუსში № 1 მაისურით გამოდის და, უხდა თქვას, საკუთარი გაამართლა თავისი „ფორმა“. იგი გუნდურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა — 75,9 ქულა, ო. კორბუტს (გროდნო) აქვს 75,75 ქულა, ხოლო მოსკოველ ელვირა საადისა და ბათუმელ რუსუდან სიხარულიძეს — მესამე და მეოთხე შედეგი — 75,3 ქულა. მეხუთე-მეექვსე ადგილები გაიყვეს როსტოველმა სვეტლანა გროზდოვამ და ჩიმკენტელმა ნელი ბიმმა — 74,95 ქულა.

გუშინ საღამოს უძლიერესმა ტანმოვარჯიშეებმა დაიწყეს ბრძოლა პირადი პირველობისათვის.

ჰავანის რინგზე

კრემლი. კუბის დედაქალაქის სპორტის სასახლის რინგზე გუშინ გვიან საღამოს მიმდინარეობდა მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის ფინალური ბრძოლები, რომელშიც, როგორც ცნობილია, იბრძოლს თხუთ საბჭოთა სპორტსმენი. უკანასკნელი ტელეგრამპორტაჟი ჰავანიდან სპორტის მოყვარულებს შეუძლიათ ხვლინ დღეს, 31 აგვისტოს 20 საათსა და 10 წუთიდან თბილისის დროით.

ლას-პალმასის ტურნირი

თბილისელ „დინამო“—მეორე ადგილზე

გუშინ საღამოს, მოსკოვში ესპანეთიდან დაბრუნდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კუნძულ ლას-პალმასზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

„კომუნისტის“ რედაქცია დაუკავშირდა მოსკოვს, სასტუმრო „ბინსს“, სადაც ეს-ეს იყო „შერემეტიევოს“ აეროპორტიდან მოვიდნენ ჩვენი ფეხბურთელები.

ტელეფონთან მოვიდა დელეგაციის ხელმძღვანელი, სპორტის დამსაზურებული ოსტატი ნოდარ გეახარია, რომელმაც ჩვენს კორესპონდენტს ო. ნოზაძეს უამბო ქართველ ფეხბურთელთა ესპანური ტურნეს შესახებ.

ეს ტურნირი,—თქვა მან. — მიძღვნილი იყო ლას-პალმასის სპორტული კლუბის 25 წლისთავისადმი. მასში მასპინძელთა („ლას-პალმასის“ კლუბი) გარდა მონაწილეობდა პოლონეთის „გურნიკი“ (ზაბეჟე) და თბილისის „დინამო“.

ჩვენი პირველი მეტოქე იყო „გურნიკი“, რომელსაც 27 აგვისტოს შეეხვედით. თამაში ჩვენი დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი ტაიმი მოვიგეთ 1:0, მოლიანად მატჩი კი — 3:1. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს გ. ნოდიამ, წეროთელმა და მ. მაჩაიძემ.

მეორე დღესვე მეორე შეხვედრის ჩატარება მოგვიხდა „ლას-პალმასთან“. მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით — 1:2 (0:2), ჩვენმა ბიჭებმა კვლავ კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. მეტოქის კარი რამდენჯერმე გადაარჩინეს ძელმა და მეკარემ, რომელიც არგენტინიდან არის ჩამოსული. სხვათაშორის „ლას-პალმასში“ მის გარდა კიდევ 3 არგენტინელი თამაშობს. ამ მატჩში ერთადერთი ბურთი მ. მაჩაიძემ გაიგანა.

ადგილობრივმა გულშემატკივრებმა, (30-ათასიანი სტადიონი ძირითადად სავსე იყო), სპეციალისტებმა, პრესამ კარგად მიიღეს ჩვენი ფეხბურთელები და მაღალი შეფასება მიაცეს, განსაკუთრებით ხურცილავას, ძმებს მაჩაიძეებს, გუცაევს. მასპინძლებმა მომავალი წლისათვის კვლავ მიგვიპატიჟეს ტურნირზე კუნძულ ლას-პალმასზე.

„ლას-პალმასის“, და „გურნიკის“ შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:3 და ტურნირის მთავარი თასი მოიპოვეს. თბილისის „დინამო“ მეორე ადგილზე გამოვიდა.

ამ ტურნირში მონაწილეობა მიიღო ყველა დინამოელმა, გარდა ტრავმირებული ხინჩაგაშვილისა. კ. ბერძენიშვილი, გოგიჩაძე, გაგოშიძე, ძოძუაშვილმა, ხურცილავამ, ჭელიძემ, კანდელაკიძემ, ეგნ